ზოგადსაგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

06/10/2025

MES 1 25 0001288154

გადაწყვეტილება

სსიპ - ქალაქ სამტრედიის №1
საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - ქალაქ სამტრედიის №1 საჯარო სკოლას (ს/კ: 238762745) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი;
2. სსიპ - ქალაქ სამტრედიის №1 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები;
3. სსიპ - ქალაქ სამტრედიის №1 საჯარო სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000-ით;
4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 06 ოქტომბრის N1286085 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;
5.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დანართი:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი სამტრედია, 9 აპრილის ქუჩა N79.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი სამტრედია, 9 აპრილის ქუჩა N79.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი სამტრედია, 9 აპრილის ქუჩა N79.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე